

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2017 წლის 6 ნოემბერი

ქ. ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №35 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 21.12.2016; 190020020.35.143.016406) დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი თავი I

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 316.0	14 519.9	4 115.9	10 404.1	15 717.3	5 217.3	10 500.0
გადასახადები	1 554.3	3 039.0	0,0	3 039.0	3 100.0	0,0	3 100.0
გრანტები	10 465.6	9 312.7	4 115.9	5 196.8	10 660.4	5 217.3	5 443.1
სხვა შემოსავლები	2 296.1	2 168.2	0,0	2 168.2	1 956.9	0,0	1 956.9
ხარჯები	8 699.8	9 025,0	217,7	8 807,3	8 891.8	145.0	8 746.8
შრომის ანაზღაურება	1 621.1	1 788,3	0,0	1 788,3	1 680.0	0,0	1 680.0



საქონელი და მომსახურება	1 032.6	1 069,2	0.0	1 069,2	920.2	0,0	920.0
სუბსიდიები	3 946.9	4 528,5	0,0	4 528,5	4 714.9	0,0	4 714.9
გრანტები	510.6	90,3	0,0	90,3	23,0	0,0	23,0
სოციალური უზრუნველყოფა	769.0	841,9	70.4	771,5	766.9	0,0	766.9
სხვა ხარჯები	819.7	706,5	147,3	559,6	786.8	145.0	641.8
საოპერაციო საღდო	5 616.2	5 494,9	3 898,2	1 596,7	6 825.6	5 072.3	1 753.2
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 727.7	6 497,8	3 443,0	3 054,7	8 605.8	6 139.3	2 466.5
ზრდა	4 898.9	7 459,2	3 443,0	4 016,1	9 491.5	6 139.3	3 352.2
კლება	171.2	961,4	0,0	961,4	885.7	0,0	885.7
მთლიანი საღდო	888.5	-1 002.8	455,2	-1 458,0	-1 780.3	- 1 067.0	--713.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	885.3	-1 011.6	449,8	-1 461,5	-2 128.3	- 1 246,0	-882.3
ზრდა	1 018.4	449,8	449,8	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1 018.4	449,8	449,8	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	133.0	1 461,5	0,0	1 461,5	2 128.3	1 246,0	882.3
ვალუტა და დეპოზიტები	133.0	1 461,5	0,0	1 461,5	2 128.3	1 246,0	882.3
ვალდებულების ცვლილება	-3.2	-8,8	-5,3	-3,5	-348.0	-179.0	-169.1
კლება	3.2	8,8	5,3	3.5	348.0	179.0	169.1
საშინაო	3.2	8,8	5,3	3.5	348.0	179.0	169.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



შემოსულობები	14 487.2	15 481,3	4 115,9	11 365,5	16 603.1	5 217.3	11 385.7
შემოსავლები	14 316.0	14 519,9	4 115,9	10 404,1	15 717.3	5 217.3	10 500.0
არაფინანსური აქტივების კლება	171.2	961,4	0,0	961,4	885.7	0,0	885.7
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	13 601.9	16 493,0	3 666,0	12 826,9	18 731.3	6 463.3	12 268.0
ხარჯები	8 699.8	9 025,0	217,7	8 807,3	8 891.8	145.0	8 746.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 898.9	7 459,2	3 443,0	4 016,1	9 491.5	6 139.3	3 352.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	3.2	8.8	5.3	3.5	348.0	179.0	169.1
ნაშთის ცვლილება	885.3	-1 011,6	449,8	-1 461,5	-2 128.3	-1 246,0	-882.3

მუხლი 3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15 717.3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14 316.0	14 519,9	4 115,9	10 404,1	15 717.3	5 217.3	10 500.0
გადასახადები	1 554.3	3 039,0	0,0	3 039,0	3 100.0	0,0	3 100.0
გრანტები	10 465.6	9 312,7	4 115,9	5 196,8	10 660.4	5 217.3	5 443.1
სხვა შემოსავლები	2 296.1	2 168,2	0,0	2 168,2	1 956.9	0,0	1 956.9

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3 100,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის			სახელმწიფო ბიუჯეტის	



			ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1 554.3	3 039,0	0,0	3 039,0	3 100,0	0,0	3 100,0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	984,4	0.0	984,4	1 100,0	0.0	1 100,0
ქონების გადასახადი	1 554.3	2 054,6	0,0	2 054,6	2 000.0	0,0	2 000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	800.9	1 213,9	0,0	1 213,9	1 240.0	0,0	1 240.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	4,3	0.0	4,3	0.0	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	43.5	46,3	0,0	46,3	20.0	0,0	20.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	201.9	147,8	0,0	147,8	160.0	0,0	160.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	508.0	642,4	0,0	642,4	580.0	0,0	580.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა გადასახადები	0,0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 660.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გრანტები	10 465.6	9 312,7	10 660.4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10 465.6	9 312,7	10 660.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	6 456.8	5 196,8	5 443.1
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 246.7	4 986.7	5 214.1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	210.1	210,1	229.0



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	4 008.8	4 115,9	4 217.3
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	3 083.1	3 083,3	4 932.3
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	855.2	856.8	0,0
საქართველოს მთაბრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	70,4	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0,0	175,7	285,0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 956.9 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 296,1	2 168,2	1 956.9
შემოსავლები საკუთრებიდან	392,6	611,4	355.0
პროცენტები	108,5	152,8	50.0
დივიდენდები	0,0	0.0	0,0
რენტა	284,1	458,6	305,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	278,8	446,1	300.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5,2	12,5	5,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	436,8	375,5	401.9
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	436,6	349,0	380.3
სანებართვო მოსაკრებელი	33,6	38,1	30.3
სატენდერო მოსაკრებელი	0,0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,2	0,4	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	195,8	126,0	150.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	206,9	184,4	200,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0,2	26,6	21,6
შემოსავალი მომსახურების გაყიდვიდან	0,2	26,6	21,6
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 456,5	1 169,6	1 200,0



ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0,0	0,0	0,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	10,2	11,7	0,0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8 891.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	8 699,8	9 025,0	217,7	8 807,3	8 891.8	145.0	8 746.8
შრომის ანაზღაურება	1 621,1	1 788,3	0,0	1 788,3	1 680.0	0,0	1 680,0
საქონელი და მომსახურება	1 032,6	1 069,2	0,0	1 069,2	920.2	0,0	920,2
სუბსიდიები	3 946,9	4 528,5	0,0	4 528,5	4 714.9	0,0	4 714.9
გრანტები	510.6	90,3	0,0	90,3	23,0	0,0	23,0
სოციალური უზრუნველყოფა	769.0	841,9	70.4	771,5	766.9	0,0	766.9
სხვა ხარჯები	819.7	706,9	147,3	559,6	786.8	145.0	641.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8 605.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 491.5 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	15.8	38,5	66.4
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	69,6	3,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3 943.3	5 432,6	7 806.7
განათლება	728.1	1 417,3	1 168.7
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	190.4	327,3	420.1



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	21.3	173,9	26,8
ს უ ლ	4 898.9	7 459,2	9 491.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 885.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	171.2	961,4	885.7
ძირითადი აქტივები	11.4	0,7	0.0
არაწარმოებული აქტივები	159.9	960,7	885.7
მიწა	159.9	960,7	885.7

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 008.9	2 250,8	2 223.9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 008.9	2 250,8	2 223.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 008.9	2 250,8	2 221.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	2.7
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0,0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	0,0	0,0
702	თავდაცვა	101.4	179,2	130.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	505.9	0.0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0
7032	სახანძრო-სამაშველო სამსახური	505.9	0.0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 837.5	3 753,3	3 632.4



7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	1 937.7	2 666,5	2 736.6
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 937.7	2 666,5	2 736.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	899.8	1 086,8	895.8
705	გარემოს დაცვა	1 138.2	1 565,0	1 178.9
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	726.0	1 061,6	870,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	88.4	152,3	83.9
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	180.6	122,5	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	143.3	228,6	225.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 313.1	2 170,4	2 280,9
7061	ბინათმშენებლობა	402.8	152,9	294.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	245.9	490,1	431.9
7064	გარე განათება	690.0	685,5	596.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	974.4	842,0	957,7
707	ჯანმრთელობის დაცვა	111.2	275,0	121,8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	111.2	275,0	121,8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 661.1	2 419,9	5 064.4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	594.7	1 196,4	3 562.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	984.7	1 154,1	1 430,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	81.7	69,5	71.0
709	განათლება	1 856.0	2 710,2	2 693.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 770.8	2 640,9	2 682.8
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	85.2	69,3	10.2
710	სოციალური დაცვა	1 065.4	1 160,2	1 058.1
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2,4	0.0	0,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	2.4	0.0	0,0



7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.5	2,5	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	752.1	824,0	768.5
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	115.4	120,0	184.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	194.0	213,7	103.0
	სულ	13 598.7	16 484,2	18 383.3

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 780.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -2 128.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -348.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 2.7 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 229,0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 95,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 127,0 ათასი ლარი;

გ) სარიტუალო მომსახურება 7,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)



საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობის სამუშაოები. აგრეთვე ხორციელდება მოვლა-შენახვისა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, რეაბილიტაცია და მოასფალტება, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან,

ა.ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

დიდთოვლობის შედეგად მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის განხორციელდება ხაშურში ცენტრალური ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების მოასფალტება და დაზიანებული ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია, დაგეგმილია მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის №693 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ წაღვლში ბეტონის გზის და სანიაღვრე არხების მოწყობა, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია სოფელ ალში და სოფელ ქვემო ოსიაურში გზის მოასფალტება, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით დაგეგმილია მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, ხოლო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №1401 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია დაბა სურამში კიკვიძის და ტალახაძის ქუჩების მოასფალტება, დაბა სურამში ამაღლების ქუჩაზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობა და სოფელ მცხიჯვარში ბეტონის საფარის მოწყობა, განხორციელდება აგრეთვე 2016 წლის ვალდებულებების დაფინანსება.

ა.ბ) თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწესრიგების ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების განთავსება, საგზაო ნიშნების, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნის შესყიდვა-მონტაჟის სამუშაოები.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)



პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიტარული პირობების გაუმჯობესება, გარე განათების სისტემების მოწყობა, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ბ.ა) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია, რაც მოიცავს გარე განათების ობიექტების კვების უზრუნველყოფისა და მართვის სისტემების მწყობრიდან გამოსული ელემენტების ამოცვლა-დამონტაჟებას და ელექტროენერგიით უზრუნველყოფას, ასევე დაგეგმილია აგრეთვე გარე განათების მოწყობა;

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ცენტრალური ქუჩების დაგვადასუფთავება, ბორდიურებისა და კიუვეტების გაწმენდა, ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავება, ხაშურის, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურება;

ბ.გ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია;

ბ.დ) სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა, დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება;

ბ.ე) წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის ზედამხედველობისა და მისი გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და წყლის ტუმბოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დაფინანსება, ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემის მოწყობა და 2016 წელს აღებული ვალდებულებების დაფინანსება, დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება;

ბ.ვ) ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხაშურში და დაბა სურამში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება;

ბ.ზ) უმეტესწილად დარჩენილი ცხოველების იზოლაცია (პროგრამული კოდი 03 02 08)



ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებათა გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება იმ ცხოველების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოების ჯანმრთელობას, ტერიტორიიდან მათი იზოლაცია და თავშესაფარში გადაყვანა;

ბ.თ) ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №1213 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხით, მიმდინარე წლის ივნისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.

გ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 და 2016 წლებში შესრულებული პროექტები დაფინანსება. დაფინანსდება აგრეთვე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2016 წელს განსახორციელებელი პროექტები.

გ. კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 04)

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც დაგეგმილია ხაშურის გამწვანებისა და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, სპორტული მოედნებისა და სასვენებელი პარკების და სკვერების კეთილმოწყობა, სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები, ასევე დაგეგმილია დღესასწაულების დროს ხაშურის გაფორმებითი ღონისძიებების დაფინანსება;

გ.ა) დასახლების გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის გამწვანების და მწვანე ნარგავების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც მოიცავს: დეკორატიული ბორდ-ბუჩქების გასუფთავებას ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან, ნიადაგის დაბარვას და გასწორება-გაფხვიერებას, ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ნაგვის გატანას, გაზონების და ბალახების გათიბვას და გატანას, ხაშურში არსებული ხეების მოჭრა-გადაბეღვას, განხორციელდება აგრეთვე სპორტული მოედნების, დასასვენებელი პარკების და სკვერების მოვლა-პატრონობის და დასუფთავების ღონისძიებების დაფინანსება;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონებისა და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია და დაბა სურამში ცენტრალურ სტადიონზე სველი წერტილებისა და გასახდელების მოწყობა. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია ხაშურში თევდორე მღვდლისა და 9 აპრილის ქუჩებზე მინი-სტადიონების მოწყობა.

გ.გ) ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2016 წელს აღებული ვალდებულების დაფინანსება;

გ.დ) მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სასაფლაოების



ტერიტორიის შემოღობვა. მისასვლელი და შიდა გზების მოხრეშვა, დასუფთავება და ნაგვის გატანა;

გ.ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია.

გ.ვ) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 04 09)

დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ზედამხედველობის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა. ხოლო საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა.

გ.ზ) ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 10)

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით დაგეგმილია ხაშურში სპორტკომპლექსის მშენებლობა, მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. დაგეგმილია აგრეთვე ხაშურში სპორტკომპლექსის შენობის ელ. მომარაგებით უზრუნველყოფა ცენტრალური ქსელიდან და შენობის გაზიფიცირება;

გ.თ) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა დღესასწაულების დროს (შობა-ახალი წელი, ხაშური – ოქროს შემოდგომა და სხვა) ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა. დაგეგმილია აგრეთვე 2016 წელს აღებული ვალდებულების დაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. პროგრამა მიმართულია თანამედროვე ტიპის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამართული მუშაობისათვის შესაბამისი პირობების შექმნა წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების – საბავშვო ბაღების გაერთიანება, სადაც გაერთიანებულია 13 საბავშვო ბაღი, რომლებშიც სკოლამდელ განათლებას იღებს 1670 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მუნიციპალიტეტის სოფლებში (ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ტეზერი, ბიჯნისი, ჩუმათელეთი, წაღვლი, წრომი) სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფების ფუნქციონირების ხელშეწყობა, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგრეთვე საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია. დაგეგმილია აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოყოფილი თანხით ხაშურში შუშის ქარხნის დასახლებაში №8 საბავშვო ბაღისათვის ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

ბ) შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და



მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლები და სპორტული ღონისძიებები;

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-მიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ ტურნირებზე სპორტსმენტა მივლინება, სასწავლო-საწვრთნელი და ფიზიკური მომზადებისათვის შეკრებების მოწყობა, სპორტსმენტა წახალისება, სპორტული ღონისძიებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ხელშეწყობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სოფლებში სპორტის ეროვნული და პოპულარული სახეობების განვითარების ხელშეწყობა;

ა.ბ) სპორტული სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და მათი ფიზიკური აღზრდის მიზნით დაფინანსდება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სადაც სპორტის თორმეტ ძირითად სახეობაში (ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-მიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ბატუტზე ხტომა, ძალოსნობა, რაგბი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) ვარჯიშობს 1370 ბავშვი;

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები, მუზეუმები და კულტურული ღონისძიებები, რაც გავლენას მოახდენს ახალგაზრდობის გემოვნების დახვეწაზე და მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენაზე;

ბ.ა) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

- 3 მარტს დედათა და 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- წვეულებებისა და ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიების მოწყობა;
- 9 მაისის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 72 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- 26 მაისს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და საგუნდო რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობა;
- სასწავლო წლის დასრულებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-ორგანიზება;
- ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ჩატარება-



ორგანიზება;

- 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ქ. ნოვოგრად-ვოლინსკში ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაულის “ლესიაობის” ჩატარება-ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ლიტვაში, დაძმობილებულ ქალაქ რადვილინსკში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის ინტელიგენციის მონაწილეობა;
- ბელორუსიაში, დაძმობილებულ ქალაქ გორკში ქალაქის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- ლატვიაში, დაძმობილებულ ქალაქ ბაუსკაში დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- პოლონეთში, დაძმობილებულ ქალაქ ტარნოვში, დაგეგმილ ფესტივალში ხაშურის დელეგაციის მონაწილეობა;
- თეატრის დღეების ორგანიზება;
- ხაშურის თეატრის გასტროლების ორგანიზება;
